იდეალს: უთანაგონობს, მუდამ გვერდში უდგია თაყვის სამწყსოს, კენესის მისი ტკივილით და ხარობს მისი დღესასწაულით, ნუგეშს აძლევს შეწუხებულს, ამხნეებს სასოწარკვეთილთ, არიგებს წაკიდებულით და სიმართლით აღჭურვილი იცავს დაბნეებულს დამტანჯვლებისაგან. ნუ თუ ამნაირი ბედნიერების მინიკება ხალხის დღესასწაულს და სიხარულს არ შეადგენს?! ეის შეუძლია ამხილოს მოყვანი სახალხით, თავის ჩადენილ ბოროტებაში თუ არა მის მღვდელს, მის სულიერ მოძღვარს?! ეის ვაუშხვებს ადამიანი თავის გულის ნადებს, თავის სულიერ საიდუმლოს, თუ არა თავის მოძღვარს? ეის შეუძლია ისე დაუხლოვდეს ხალხს, გაიყნოს მისი ავი, კარგი, სატირალი და სამხიარულო მხარე თუ არა იმევე მოძღვარს, სოფლის მღვდელს?! ნუ თუ შენ, შეილო, ამ თვისებას ადამიანის ღირსებათ არ სთვლი? აბა მიჩვენე საცერო სამსახურის პირი, რომ ასეთი ნებით, უპირატესობით იყოს აღჭურვილი. ზევით ესთქვი, რომ ჩვენი მოძღვრები ხალხს სცხოვრებენ, მისი საღვამო და გლახის ქობი პირდაპირ შესწერებიან ერთმანეთს, მისი გავირების და დაღონების დამწყურე—თავის თვალებით მხანგელია; მაგრამ, საუბედურათ, დღევანდელ ზოგიერთ ახალგაზდა მღვდლებში იმ სიყვარულს და თანაგონობას სამწყსოსადმი ნაკლებათ ვხედავთ, რომელიც შეადგენს ქრისტეს სარწმუნოების იდეალს. დღევანდელი ჩვენი მოძღვრები იმ კატეგორიას ეკუთვნიან. ერთი მათგანი სულ ახალგაზდაა, ხალხის ცხოვრების სრულებით უვიცნი, გამოუცდენი, ხანდისხან სრულებით გულციენი, რომლებსაც ხალხის სიყვარული სიზმრათაც არ მოლანდებით, რომლებიც ხალხს ისე უყურებენ როგორც თავის საცხოვრებელ სახსარს, თავის სახარებლოთ გასაპარც ცხერებს. ამათ, რაკაციორველია, ხალხიც ისე უყურებს და მათ შორის სიძულელი იბადება; ეს სიძულელი შემდეგში ეკლესიას და მის წესების შესრულებასედაც შესაძნელ კვლას აენს. მეორე კატეგორიას ეკუთვნის, ასეთ წოდებულნი «შერჩენილი» მღვდლები, ე. ი., რომლებიც არც ძველში ურვეიან და არც ახალში; ესენი გარეგნობით სული და გული არიან ხალხისა, შეხედულობით შემწვნი, მრჩველნი და დამრჩველნი არიან მათში, მაგრამ ნამდვილ კი სულ სხვები... ნუ თუ ამგვარ მოძღვრებს ხალხი შეიყვარებს, მათ მოძღვრებას—ქადავებას რაიმე ვაყენა ექმნება სამწყსოზედ? ნუ თუ

* იხ. «ქვეყნის»-ს № 21, 1893 წ.



ასეთი მოძღვრება არის «მწყემსი კეთილი, რომელმან სული თვისი დაწესდეს ცხოვრათათის» (იოან. თ. 10). და არა «სასყიდით დაღვნილი, რომლებიც იხილვენ რა მომავალ წგელს, დაუტენენ ცხოვრით და ილტვიან» (მისივე 12). ნუ თუ ამისთანა მღვდელს ნება აქვს ხალხის საყვედურო სთქვას, რომელიც მას არ ზოგავს და უტკერის საწერელ ფურად. ნუ თუ ამ გვარ მღვდელს სულიერი მამა ეწოდება, რომელიც ნუსხას ადგენს და ავალდებულებს თავის მოძმეს, მოხუცებულ მღვდელს შეუტყველად შეასრულოს?

— რა ნუსხა? რა ნუსხის შეღვანა შეუძლია სოფლის მღვდელს! განა ეგვიპტოსის წამება არ არის ჩვენთვის გაწყვეტია მ. ილარიონმა.

— «მწყემსი» ხომ მოგდის, შეილა! ჰკითხა მ. იოანემ.

— «მწყემსი» კი არა მკადი მიჰიჩს, მამაო, საზოგადოებრივად ჩემს მრევლს და ეკლესიას რას გამოეჩინები, რომ გავხეთები გამოეჩინებო?

— ეს სულ ადვილია, შეილა, თუ სურვილი გქონება შენი ქვეყნის ცხოვრების თვალსუფრის დევნისა—ყველაფერა შეძლებ; ხომ გაგივანია ჩვენი ბუთი გონიერი ანდა „თუ გული გულობს, ქდა ორივე ხელთ იქმნაო“. ეს ხომ ასეა, შეილა, მაგრამ თუ არ წაგვიტახებს, მაშ მე წაგვიტახებ. სთქვა ეს მ. იოანემ, მერე ოთხში ნელ-ნელა ჯოხით შებოკინდა, «მწყემსი»-ს ნომრები ვადაშალა; 1893 წლის მე-8 № ამოიღო, სათვალეები წამოიღდა და დაიწყო: «მამაო ლ! ხომ გაგივანია, რომ რომელ სოფელშიც შევა კაცო, იმ სოფლის წინეყულობას უნდა მივყვ. შენი წინამძღადადი, კარგათ იცი, რომ მკვდრების ანგარიშს აკლად და ცოცხლებს არ ემატებოდა, გამორიცხული აღრიღებე, ამიტომ ეწოდებოდა «ჩურჩუტი». წარმოიდგინეთ, რომ 40 მან. ადგილზედ თუბანს ახდენინებდა, თუბნის ადგილზედ მ მანეთს, 3 მანეთის ადგილზედ მანეთს და ხან ნაკლებსაც... აი ჩემი ჩვეულება ეს არის და იმედია თქვენც მხარს მომცემთ და თანასწორად ეიმოქმედებთ მრევლისაგან მოსახარებელ ანგარიშების დროს, რომ ყახახების სასაცლო არ გავხდეთ. კარგი შეძლებული თავისი ნებით იხდის საორმოცოდ 40 მან. გარდა ერთ თუბან სამოდგრობას და მანეთს ანდერძის ფულისა. საშვალის—ნახევარ საორმოცოდ 20 მ. გარდა სამოდგრო თუბნისა, მღარე—სამოდგრო და ანდერძისა 11 მანეთს და სხვას შეძლებისადაგვარად. ხანდახან გაწირიანებენ, მაგრამ იცოდენ, წარვა მანეთ

ნაკლებ არაინ შემოგბედოს. მთლად ღარბს—8 ან 6 მ., ან უსაშველოდ 3 მანეთი მანც გარდახდენინებ. საგერავინო: დაწყებული 3 მანეთიდან 30 მანეთამდე სათქმელი არ არის, მოწმობას ეჭო თუ აიღებს და იქით მიდის, იმას ნახევარი საგერავინო და თუ აქ იწერს—სრულიად და ასე, იმედია, ერთ მანეთის სასაცლოდ არ უჩვენებთ თავს საზოგადოებისა და ამაში მხარს მომცემთ. თქვენი ა... 1892 წ. აი ამგვარი დღევანელი ზოგიერთი მოძღვრება. ამგვარი მოძღვრების მართებს გულ-მოდგინეთ შეისწავლოს სიბრძნე იესო ძისა ზირაქისა, რომელიც ამბობს: «ცულდს ნუ სწამებ შენს ძმას და მოყვასსა ღმერთს; მგვარბს ნუ გასცელი საუნჯეზედ, ცხნს ნების ძმას ნუ გასცელი ოქროზედ, ყოველს სხვაცელს უყვარს თავისი მხვავისა და ყოველს კაცს უნდა უყვარდეს თავისი მოყვასისა». აი, შეილა, სიბრძნე, რომელსაც უნდა ეწაფებოდეს ახალგაზრდა მოძღვარი. ვიცი, რომ სემინარია ძლიერ ბევრს საგნებს გასწავლისთ, ღვთისმეტყველებაც შეიძლება გონიერად შეისწავლით, მაგრამ ცხოვრების სკოლის შესასწავლად ეს პირველი საფეხურია. ცხოვრების თავისი საღვთისმეტყველო საგნები აქვს, რომლებიც საჭიროებენ თქვენგინე შესწავლას, გაუფხურებობას და განვითარებას, მაგრამ თქვენ ახალგაზრდა მოძღვრები ცხოვრების ხელს გვერდს უყლით და ფონში კი გიჭირთ ვსვლად. დაუახლოვით ხალხს, შეისწავლით მისი ცხოვრების ყოველგვარი მხარე, გააჩინეთ კრიტიკულად, რა საჭიროებას გრძობს სოფელი, რა მომავალი მოკლის მათ მღვდამარეობას, აწვობთ ეს მღვდამარეობა გავხეთების შემწეობით ჩვენ განათლებულ საზოგადოებას და აბა მაშინ ნახეთ, ხალხი და მათი მღვდამარეობა მოგეწონებათ, მგვიჯერდებათ თვინი და პატიოვნიცებთ მოგვყურებათ თქვენც თუ არა? ემადლობ შეკითხის ღმერთის, ჩვენი ქვეყანა თითქმის დღეს ყოველი კუთხით მოგენილია ახალგაზრდა ნასწავლი მღვდლებით, ზოგიერთ მათგანს, საბუნდოვროდ, უმაღლესი სასწავლებელიც დაუმთავრებიათ, უმაღლეს ხარისხამდე ღვთის-მსახურება და ღვთისმეტყველობა შეუსწავლიათ, მაგრამ საუბედუროთ მათგან ნაყოფი ძლიერ ცოტას ეხდებოდ. გარდა ორიოდ პატეცემულ პირებისა, აბა მ-მითითეთ ერთ ახალგაზრდა სემინარიელ მღვდელზე, რომ მისი თაობით ან სოფლის მალაზია გავხსნას, ან ეკლესია აგვს ხალხს, ან რაიმე წერილი დაემტკიცოს ჩვენს ქურონალ-გახუთებას იმ ბელზედ გუგნების მღვდამარეობის შესახებ, რომელთაც მუდამ გვერდში უდგია და ერთათ ცხოვრებს. აბა გადავლეთ თვალი ერთად ერთ სასულ, გავხეთს და რა წერილებს ნახათ ჩვენ ახალგაზრდა ნასწავლ მღვდლებისაგან გამოგახუნდოს! თითქო ერთ მანეთისაგან გაღწერესო, იწერებთან: „მ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენის ქურნალის



„მეწყემსი“-ს საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთ, რომელთაც რწმუნებულ ჩემდადო კ—ის წმ. გიორგის ეკლესიას შემოსწირეს შემდეგი საეკლესიო ნივთები. (ქვევით ჩამოათვლილია ნივთების სახელები).

სოფ. კ—ის წმ. გიორგის ეკლ. მღვ. მ. ა. ზ—უილი.

ნუ თუ ამის მეტს მასალას გაზეითის სტატისტიკის არ აძლევს სოფელი ნასწავლ მოძღვარს? ნუ თუ ხალხში არაფერი მოიპოვება ისეთი, რომ საზოგადოების ყურადღება მიიქცოს? როგორ არა, მაგრამ ისევე ის გამოურყვეველი მიზეზი ეჩხირება გზაში, რომელსაც ცხოვრების შეუსწავლელობას ეძახიან.

ამას თავი დაეანებოთ, ავიღოთ, თუ გინდა, ის წმიდა და მრავალ მნიშვნელოვანი საქმე, რომელსაც სახალხო განათლებას უწოდებენ. დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენ მღვდლებს მიუციათ ნება ყოველ, ცოტაოდენ, შეძლებულ ეკლესიებთან სამწველო სკოლები გაეხსნათ და პირველი ელემენტარული წვდობიერი განათლება მიუფინათ თავიანთ სამყაროში. ახლა აქ ნანგ, შეიშო, რა გულციობას, სიზარმაცეს და ამ მძიმე საქმის დაუფასებლობის უნაჩს იჩინენ ახალგაზდა მღვდლები. მის მაგიერ, რომ პულამ თვალყური აღდგონ სკოლაში სწავლის მსვლელობას, ანუეონ უყუთეს უადვილეი მეთოდო და ამ დროს ჰედაგოგიური მოსაზრებანი თვანიან მასწავლებელს—ისინი ზოგან მტრებთო ვადაკიდებიან ერთმანეთს და ან თთვეში ერთხელო თუ ნახავს სკოლა თავის მზარუნეელს, თავის წინამძღვარს სოფლის მღვდელს. მთელი წლობით საბარალო სკოლა ვიდაც უყუც; თავის საქმის არ მცოდნე მასწავლებლის ხელშია. მასწავლებელია სკოლის სულის ჩამდგმელი, მასწავლებელზედ არის დამოკიდებული ასეთი თუ ისეთი მიმართულების მიცემა სკოლისა. მასწავლებლის შემწყობით სკოლას შეუძლია მხურვალე სიყვარული აღზრას ხალხში ეკლესიისადმი, სწავლა-მეცნიერებისადმი და ყოველ გვარ კეთილ წარმატებისადმი. განიერად მოწყობილ სკოლასაც ბევრი სარგებლობის მოტანა შეუძლია, მაგრამ ჩვენი სამრეელო სკოლები ამაგებს ჯერ რევიანად კიდევ ვერ ასრულებენ. ვერ ასრულებენ მით უმეტეს, რომ სამრეელო სკოლების მასწავლებლები უმეტეს ნაწილთა მოუძახდელებნი, განუფითარებლები არიან და თეთოთნაც ახალგაზდა მღვდლები კი ნაკლებ მონაწილეობას ღებულაბენ სწავლებაში. ამით სკოლის შემხედვარე სამყაროს გული უტყდება სკოლაზედ და უკმაყოფილოს ამ გვარის სწავლებისაგან, მიჰყავს უკანე თავისი შეილი.

თოფ. ხესკიკაძე.

(დასასრული შემდეგ №-ში)

ახალი ამბები და შენიშვნები.


დღის ამბით მიეგება ჩვენი სამღვდლოება იმ სასიხარულო ამბებს, რომ სამღვდლოებას დაენიშნება ნიდაგი ჯამაგირი ხაზინიამ. ამ მიზნით ყოველს წელიწადს იქმნება ვადადებული 250,000 მანეთიო. ამ წელში გამოსულა ხაზინიდან 250,000 მანეთი. უკვე გაუნაწილებითა და ჩვენს საექსარხოსოს წილად ხთომია ხეთ ეპარქიაში 1200 მანეთამდე, ასე რომ, თანასწორად თუ ვაჰყვებს, თითო ეპარქიას შეხედება 240 მან. ჯერეთ ნამდვილათ შეტყობილი არ არის, ვის დაენიშნა ეს 1200 მან. ამ საექსარხოსოში ახალ ვახსნილ შტატის ეკლესიის შტატებს, თუ იმ კრებულთა, რომელნიც არ იღებდენ არავითარ ჯამაგირს.

* *

სახსრის საბლაოჩინო მახრაში სამღვდლოებას არქიტრის მთავედ გზის ვასაყენად თითოეულს მღვდელს შეუწირავს მ მ. და მედაეთნეთა 1 მ.,—მთელს ეპარქიაში მაინარად თითქმის შეიკრიბება 2000 მანეთი.

* *

წელს მთელს ქუთაისის ვუბერნიოში და ვანსაკუთრებთ შორაპნის მახრაში დიდი მოუსვლობა იყო, რაისა ვამო ხალხს დიდი შიმშილი მოვლის. ამ უბედურებას როგორც იქნებოდა გაუძლებდენ შორაპნის მახრის მკვიდრნი, რომელთაც კი შემოსავალი ჰქონდათ შაერს ქვის ზიდეთ ჭიათურიდგან ყვირილამდე, მაგრამ ეს შემოსავალი მოცხოვრით მათ ყვირილამდე ჭიათურამდე რკინის გზის ვაყენით. გარდა ამისა ზოგან შორაპნის მახრაში გავრცელებულია საქონლის ჭირი, და კაცი არ არის, რომ ხალხის უბედურებას ყურადღება მიაქციოს. საჭიროა, რომ ამ მახრაში ვაიგუზენას ბეთალი, რომ ხალხს რაიმე შემწეობა აღმოუჩინოს.



სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობაში სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზედ.

მშობლების კეთილი ცხოვრება საუკეთესო სამკვიდრებელია შვილთათვის.

(სიტყვა წმ. მართალთა იოაკიმე და ანნას დღესასწ. დღეს)

დღეს დღეს წმიდა ეკლესია დღესასწაულობს ყოვლად წმ. ქალწულის მარიამის წმ. მშობლების—მართალთა იოაკიმეს და ანნას ხსენებას, ამ დღესასწაულობის დროს, ალბად, თითოეული ჩვენგანი იდგენს თვალწინ და ფეკრობს, თუ რა ბედნიერანი იყვენენ ეს ღირსეულად დიდებულნი მეუღლენი, რომელთაც შევიძინათ ამისთანა ქემშარბიჯად სანატრელი ქალი!

მზგავსი ბედნიერება ხვედრია, ძმანო, ყველა მშობელთა, რომელთაც სურსთ, რომ მათი შვილები იქნენ ნამდვილ ბედნიერნი და ნეტარნი. ღვთის სიბრძნის სატყვისაებრ, უბედნიერესი სამკვიდრო შვილთათვის არის მშობელთა კეთილი და მართალი ცხოვრება, და ამიტომ უმთავრესი მოვალეობაა მშობელთა, რომელთაც სურსთ ბედნიერება თავიანთ შვილთათვის, თვითონ იცხოვრონ კეთილად და ღვთის კობაძლეულებით, როგორც სცხოვრებდნენ მართალნი მშობელნი წმ. ქალწულისა.

მართალია, სულ სხვას გვამცნებს ჩვენი ამოაწუთი სოფლის სიბრძნე. თუ სიმართლით იცხოვრებ, ამბობს იგი, ძლიერ ცოტას შეიძენ; რა დარჩებათ ჩვენს შვილებს? ყოველის მხრით უნდა ვცადო, რომ შვილებისათვის შეიძინო დიდი სამდიდრე, მათ უნდა დაუტოვო ბევრი სახლები და მიწა. მხოლოდ მაშინ იქნებიან ისინი ბედნიერნი და უზარუნველნი მთელს თავს სიცოცხლეში, სიმართლით თუ იცხოვრებ, ბევრს ვერაფერ დაღებას შეიძენ, ვერ მიადრწე იმ სახელო-

ვანი კაცების დიდებამდე, რომელთა სახელები ბრწყინავენ სხვა და სხვა ორდენებით, და რომელნიც სარგებლობენ ჩამომავლობითი და გვარეულობითი უპირატესობით; რითი უნდა ვაირჩინე მართალი კაცის შვილები უბრალო და მცირე პირთა აუარებელი შვილებისაგან? და რა პატივი ექნებათ მათ თავიანთ მოძმეთა შორის? სულ სხვა იქნება, თუ მოვიპოვებთ უმაღლეს პატივისცემას, გავამშვენებთ ჩვენს სახელს ბრწყინვალე ტიტულით, რომ ჩვენმა შვილებმა თავი იქონ თავიანთი ჩამომავლობით, თავი იქონ თავიანთი მამების და წინაპართა სახელებით. მაშინ ისინი მონიშნებენ პატივისცემას და დიდებას. როცა სიმართლით სცხოვრობ, არ შეიძლება არ შეიძინო მტრებით და არა კეთილისმყოფელნი, რომელნიც შემდეგ შენს შვილებსაც შეიძულებენ; რა ბედნიერნი იქნებიან მართალი კაცის შვილები, რომელნიც გარემოცულნი იქნებიან მტრებით და მოძულეთაგან? საქმე ის არის, რომ რაიმე გზით დაიმსახურო ძლიერი კაცების ყურადღება. მაშინ ჩვენი შვილებიც ამ ძლიერი კაცების მფარველობას ქვეშე იქნებიან და მათი მოწყალებით ბედნიერად იცხოვრებენ.

აი ასე გვამცნებს ჩვენი ამა ქვეყნიური ცხოვრების სიბრძნე. ხალა ცრუ აჩაან მენი ატანთა, სსსწარათა მით ზედა სიტყვისათა (ფსალ. 69, 10), მაგრამ განა ყოველთვის ავიტოვებდებო ხოლმე ეს, ერთის შეხედვით, საფუძელიანი ანგარიშები ამა ქვეყნიური სიბრძნისა? არა, უფრო ხშირად სულ წინააღმდეგ ვხედავთ. უკანონოთ შეძენილი სიმდიდრე დიდებანს არ შერჩება ხოლმე უკანონოდ შემძენელი კაცის შვილებს და მემკვიდრეებს. ხშირად მოხდება, რომ, სიტყვისაებრ წინასწარმეტყველისა, სხვანი შესწამენ ნაშრომს მისსა; ხოლო მათი მემკვიდრენი დარჩებიან საწყალებად. გახანა მასიად ჭშოფათებს კაცი, ამბობს სიტყვა, ღვთისა, რავეთუ იუნჯებს, და არა უწყის, ვის შეუყვამოს იგი (ფსალ. 38, 7). მართალი არიან ისინი, რომელნიც ამტკიცებენ, რომ მკვიდრულად სიმდიდრის მოხმარება შეუძლია მხოლოდ მასს, ვინც იძენს მას თავისი საკუთარი შრომით, და არა ის, ვისაც ეძლევა სიმდიდრე უბრალოდ და უშრომლოდ. რამდენი მემკვიდრეები გამოაუცვლია ზოგაერთი ერთ დროს მლიდარი კაცების დიდს საღვთამებს? დღეს კი ამ სახელების აღმშენებელთა სახელობა შვილები და მემკვიდრენი უსახლოკაროდ დაეხეტებიან და არ იციან, სად შეიფარონ თავი. და

განა უპატიოსნოდ შეძენილი დიდება სამარცხვინო
 ლაქად არ ედებათ უმართლოდ გამდიდრებულ შეი-
 ლებს და მემკვიდრეებს? ასეთი კაცების შეილები
 პატივისცემის მაგიერ ყველასაგან ზიზღით იხსენიებიან.
 განა ცოტაა იყენენ დიდებულნი და ქებულნი, რომ-
 მელთა? დიდი სახელი ჰქონდათ მოაზობელნი ქვეყნის
 თვალში, მაგრამ მათი ხსენება მათთან ერთად მოის-
 პოა. თუ მართალი ცხოვრებით შეგვიძლია ავიტეროთ
 ჩვენ ზოგიერთი ბოროტნი და ზნეობით დაცემულნი
 პირნი, განა უკანონო ცხოვრებით კი კვი სახელს
 დაესტვენთ კეთილი და პატიოსანი კაცების თვალში?
 ბევრი ცუდი ხსენება აქვს არა მარტო უსჯულოდ და
 უკანონო მოქმედ კაცს, არამედ მის შთამომავლო-
 ბებსაც? რამდენ მწარე საყვედურს და საჩივარს ისმენენ
 თავის ყურით უსამართლო კაცის შეილნი და მემკ-
 ვიდრენი? უსამართლო კაცის ხსენება მისი შეილები-
 სათვის არასოდეს სანუგეშო არ არის, პირიქით ყო-
 ველი მათი ხსენება მათ მემკვიდრეთათვის არის დასჯა
 და სამწუხარო. აგრეთვე ძლიერი კაცების მფარვე-
 ლობა განა დიდხანს გაჰყვება ფარისეველის და ლა-
 ქუცა კაცების შეილებს! ნუ ესჯათ, ამბობს სიტყვა
 ლეთისა, მთავრანა მეთა კატასა, რამქალა თანა რას
 რას ცხოვრება, გამოყვიდის სული მისა, და მიაქცის
 მუწეუ მიწად მისად; მას დღესა მისა წარწყმდიან ყო-
 ველნი ზრახვანი მისნი (უხავს. 147, 3—4), ხალა
 მისთან გაქცრებას ყოველი იმედი, რაიბ მისწედ
 ჰქონდათ.

უმჯობესი და საიმედო სამკვიდრებელი შეილ-
 თათვის არის მათი მშობლების უცოდველი, მართალი
 და კეთილი ცხოვრება. ეს სამკვიდრებელი მტკიცე
 და საიმედო ყოველივე სიმდიდრეზე, უმეირფასესია
 ყოველივე დიდებზე და ტიტულებზე, და უძლიერეს-
 სია ამა ქვეყნის ძლიერი კაცების მფარველობაზედ.

ვიცნ სცხოვრობს სამართლიანად, ვაღს ყოველთა
 მტრებათა სამართლიან უფლისათა უბიწოდ (ლუკ. 1, 6),
 პირველად ამისთანა კაცზე სუფევს კურთხევა
 ლეთისა, რომელიც ვადავა მის შთამომავლობაზედაც
 ნათესავთი ნათესავდამდე. სცხოვრებდა აზრამი ლეთის
 ნებისამებრ და არა თუ მისი მახლობელნი, არამედ
 შორებელნი მისი შთამომავალიც ბედნიერად სცხო-
 რობდნენ იმ ლეთის კურთხეთის მადლით, რომელიც
 სულელად მათ წინაპარზე. მოიხევე და დავითმა ლეთის
 კურთხევა, — და მისი შთამომავლიც (თუმცა ზოგი
 მათგანიც უსჯულონი იუნენ), მემკვიდრეობით მე-

ფობდნენ მის ტახტზე, როგორც ეს აღთქმული ჰქონ-
 და დავითს ლეთისაგან. უსჯულო საული შთავლდა
 ლეთის კურთხევას, — და მისი შთამომავლობა სილა-
 რომში ჩავარდა და მოკლეს ხანში სრულიად ამოწყ-
 და. შეიძლება ჩვენ შორისაც არიან მრავალნი, რომ-
 მელნიც ბედნიერად სცხოვრებენ არა მათი მშობლე-
 ბისაგან დატოვებული სიმდიდრით და ძლიერი პირე-
 ბის მფარველობის წყალობით, არამედ თავიანთი
 კეთილ-მორწმუნე მშობლების ღოკით და კურთხე-
 ვით! ასე დიდი და საქირაო, ასე კეთილსამიედო და
 მტკიცეა ამა ქვეყნიური დღევითლობისათვის ლეთის
 კურთხევა, რომელიც სუფევს კეთილ მორწმუნე და
 მართალ კაცთა ზედა! იგი შეადგენს ქემშარტს ბე-
 დნიერების მათ შეილთა და შთამომავლობათათვის.
 ნათესავი მართლთა გურთხეულ იქნების, ამბობს სიტ-
 ყვა უფლისა.

ვიცნ სამართლიანად სცხოვრობს, ის არა თუ
 არავის არ აწყენინებს, პირიქით ყველას კეთილს
 უშეშებს; იგი სარგებლობს თვით თავის მტერთათვის,
 ასეთი კაცი თავის შემდეგ სტოვებს კეთილს სახელს
 და კეთილს დიდებას, ყველას გული მოგებულთ
 რჩება. ასეთი კაცის შთამომავლობა ყოველთვის მო-
 იაოვებს მფარველობას და შეწყენას. მამის კეთილი
 სახელი არის მისი შეილებსათვის საუცუროსო დროში,
 რომ ყოველმა კაცმა ასეთი კაცის შეილებს მფარვე-
 ლობა გაუწვიოს. ასეთი კაცის შეილები მათი მამის
 კეთილი სახელის წყალობით ყოველგან იძენენ მე-
 გობრებს და მფარველებს. კიდევ რომ გაუწინდეს
 მართალ კაცს მტრები, მათი მტრობა ისპობა ამ კე-
 თილი კაცის სიკვდილის შემდეგ, არ შეიძლება, რომ
 ამ მტრებმაც არ შეიგონ ბოლოს, რომ უმართლოთ
 სძადათ მათ მართალი კაცი, რომ უმართებულოთ
 და უკანონოდ სდენდინდენ და აწუხებდნენ მას სი-
 ცოცხლეში, ისინი თუ ბოროტს უშეგობდნენ
 ამ მართალ კაცს, მაგრამ იგი ბოროტის მაგიერ სი-
 კეთეს უშეგობდა მათ, ნუ თუ სინიდისი არ შთა-
 განებს მათ, რომ ამ კეთილი კაცის შეილებს მაინც
 რაიმე სიკეთე გაუწვიან? ამ სახით მართალი კაცის
 შეილები არა თუ მათი მამების მეგობრებსა და
 მფარველებში მოიაზოვებენ მეგობრებს და შემწეთ,
 არამედ ასეთივე მეგობრებს და კეთილისმყოფელთ
 იძენენ თავის მამის მტერთა და შურის მიძებელთა
 შორისაც.

ვიცნ უცოდველად სცხოვრობს თავის სიცოცხ-

ღეში, იგი სცხოვრობს შრომით, ზოგიერად და თავდაჭერით. თუმცა ასეთ კაცს არ გააჩნია დიდი სიმდიდრე, ნაკელად იგი ყოველივერში კმაყოფილია; მისთვის საჭირო არ არის სხვა და სხვა გადაჭარბებული ცხოვრების ზოგიერთ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, იგი კმაყოფილია მით, რაცა მისკა მასს ღმერთმა და რითაც აკურთხა იგი უფალმა. ასეთი კაცი თავის შეილებსაც პატარაობიდანვე აჩვენებს შრომას და მომჭინებობას, პატარაობიდანვე ასწავლის თავის შეილებს, რათა იგინი კმაყოფილნი იქნნენ მით, რასაც ანიჭებს მათ უფალი. ამისთანა ბავშვები არას დროს უბედურნი და ბედის მომდურაენი არ იქნებიან; ეინაიდან ქვეშაირიტი ბედნიერება კაცისა თვითონ მასშია, მის გულშია. რაც გინდა აუარებელი სიმდიდრე მისკეთ ვეცხლის მოყვარე და ხარბ კაცს, ის მაინც არ დაკმაყოფილდება და მაინც მუდამ იზფოთებს, რომ უფრო მომეტებული სიმდიდრე შეიძინოს და ამიტომ მუდამ უბედურია, ეინაიდან ვერასოდეს ვერ იძენს იმას, რაც სურს. რაც უნდა პატივით და დიდებით აღაესთ თავმოყვარე კაცი, იმას ყოველივე ეს მტირედ მიაჩნია და მუდამ უფროს თვალთ უცქერის იმაზე უფრო დაწინაურებულს და დაჯილდოებულ პირთ, იგი მუდამ უკმაყოფილოა, რადგან მას არ უსრულდება მისი უახრო ფიქრი და ვერ კმაყოფილდება მისი აღვირ ახსნილი ნატრა და სურვილი. «სახუფეველი ღეთისა თქვენ შორის არს», იტყვის უფალი. «ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და სიმათლესა მისსა, და ესე ყოველი შეგეძინოს თქვენ» (მათ. 6, 33).

ენც თვითონ სცხოვრებს კეთილად და ღეთის შიშსა შინა, იგი თავის შეილებსაც ასწავლის ამგვარ ცხოვრებას. ხოლო კეთილი და ღეთის მოშიში შეილი ყოველთვის ბედნიერი იქნება, კიდევ რომ მამამ დიდი ქონება არ დაუტევოს, ხოლო ბიწიერს და გარეწარს შეილს მამის დიდი ქონებაც ვერას მოემაზრება. «კეთილ მსახურება», აშობს მოციქული, ყოველივერში სასარგებლოა, რადგან ასეთ ცხოვრებას მოსდევს როგორც ამ ქვეყნად ისე იმ

სოფელში კეთილი ცხოვრება. აი ამისათვის წმიდა დავითი ვერაწმუნებს, რომ მას მის ხანგრძლივი ცხოვრების დროს არ უნახავს, რომ კეთილი ღეთის მოსახეი კაცის შთამომავლობა სიღარიბეში ჩავარდნილიყოს. «ყრმა ვიყე და დაღებდითა, და არა ეინილღე მართალი დაღებულ, არცა თესლი მისი მოხოველ პურისა. მარადღე მსწყალოს და აეახსნებს მართალი და ნათესავი მისი კურთხეულ იყოს» (ფს. 36, 25, 26). ყოველად წმიდა ღეთის-მშობლის მარიამის მშობლებს არავითარიმე სიმდიდრე არ გააჩნდათ და არც შეილისთვის დაუტოვებიათ რაიმე სამკედრებელი; პირიქით, რაცა თავის საში წლის ქალი მიყვანეს ღეთის ტაძარში, შესწირეს უფალს, თვითონ მალე დაიხოცნენ, და თავის ქალი ობლად დასტოვეს, მას ქვეყანაზე არაიენ გააჩნდა მიხედველი, მაგრამ ღეთის ტაძრის და უფლის საფარველსა ქვეშე იმყოფებოდა იგი. ნაკელად სიმდიდრისა მშობლებმა დაუტოვეს თავის ქალს ცხოველი სული კეთილ-მსახურებისა, რითაც პატარაობიდანვე აღესილი იყო მასი გული, რომელიც ვახდა სვეტაკი და წმიდა ტაძარი ღეთის მადლისა; ქალს დაუტოვეს სიყვარული ღეთის სჯულისა და სიტყვისადმი, რითაც იზრდებოდა მისი სული, როგორც ცოური მანნით; დაუტოვეს მავალითი თავისა უბეწო, კეთილმსახურებითი და ღეთის შიში ცხოვრებისა, რომელიც იყო წმ. მარიამისათვის კეთილი გზის მაჩვენებელი. მათ მიანდევს თავის ქალი უფალს, ხოლო უფალია აღირჩია იგი თავის დედად. რომელ ქვეყნიურ სიმდიდრეს შეეძლო ისე ბედნიერ ვყო იგი და გავახდა სამუდამოდ უნეტარესად!

რა კარგი იქნებოდა, რომ თითოეული ჩვენგანი ეცდებოდეს იცხოვროს კეთილად და კმაყოფილებით, რომ ამათ დავამტკიცოთ ჩვენი სიყვარული ჩვენი შეილებსადმი და სურვილი, რომ ჩვენი შეილები შეიქნნენ ბედნიერი თავიანთ ცხოვრებაში, მხოლოდ მაშინ ეიქნებოდით ბედნიერი ჩვენც და ჩვენი შეილებიც! ამინ.





მიიღება ხელის-მოწერა 1894 წლისათვის ორ კვირულ ვაგონებათა ჩართულს

„მწევესზე“

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზედ

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდლო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და საერო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდლო და საერო წოდებაში სწავლბ და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდლო და საეკლესიო მოსამახურე პირთა ზოგიერთი საქეო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მკიცხვლ მათი მოვლეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა შემოხსენებულის პროგრამის აღსრულების გარდა არის—1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო მწევესზე-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დაშორებული კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

ფასი ქუჩნალინა:
 12 თეთი მწევესი) 5 მ., 6 თეთი მწევესი) 3 მ.
 — ,, ორივე გამოცემა) — ,, ორივე გამოცემა 4 მ.
 — ,, რუსული ,, 3 მ., — ,, რუსული ,, 2 მ.
 სოფლის მსწავლებელთ მწევესი) დათმობათ მთელის წლით სამ მ ა ნ ე თ ა დ .

რედაქცია აქვს კანტორები: ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და ფეინდლანში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ფეინდლანში, აგრეთვე ქუთაისშიც.

გარევე მცხოვრებთა ტურნალის დაბარება შეუძლიათ ამ აღრისით: Въ Квирлии, въ редакцію журналов „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

«მწევესი»-ს ხელის მომწერლებს სასწუქსად 1894 წელში დაერიგებათ მოზრდილი მხატვრებათა მამარ მამისა.

მხატვრობა წარმოადგენს იმ დროს, როდესაც შოთა რუსთველი მიართმევს თამარს თავის უკვდავ პოემას ეფთხის ტყაოსანს. ამ მხატვრობაზე იქმნება დახატული თეთი შოთა რუსთველი და თამარის მსლებლები იმ დროის ტან-საცმელში.

სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

„კვალში“

გამოვა 1894 წლიდან ყოველ კვირაში ერთხელ ერთდღან სამ თაბახამდის იმავე პროგრამით.

რედაქცია ყოველ ღონისძიებას ხმარობს გაუმჯობესოს შინაარსი და სახე გაზეთისა. ამ განზრახვით მან დაიბარა პეტერბურლიდან შრავალი საუკეთესო ცინკზე და საილენძე მოჭრილი მხატვრობა.

წლიურად ეღირება გაუზზაენელად შეიდი მანეთი, ხოლო გაუზზაენით 8 მან. ნახევარის წლისა გაუზზაენელად სამი მან. და ათი შაური, გაუზზაენით ოთხი მანეთი; სამი თვისა გაუზზაენელად ორი მან. გაუზზაენით სამი მან. თითო ნომერი აახათ.

ხელის მოწერა მიადება

ტფილისში არწუნისხეულ ქარვასლის ქართულ სახლობო სამკითხველოში და წყენა-კითხვის საზოგადოების კანცლოარიაში, ქალაქს გარევე ხელის მომწერნი უნდა მიიქცენ «კვალის» რედაქციაში Тифлисе, Редакция «КВАЛИ».

რედაქტორი-გამომცემელი ან. თ-წყნოშვილისა

1894 წლის იანვრიდან

გამოვა ყოველ თვეური ქართული ჟურნალი

„მობაშე“

შემდგენის პროგრამით:

I სიტყვა-გაზმულა მწერლობა ორიგინალი და ნათარგმნი რუსულიდან და უცხო ენებიდან: რომანები, მოთხრობები, ამბები, ლექსები, პოემები, დრამატული თხზულებანი და სახალხო სიტყვიერების ნაწარმოები.

II ისტორია, გეოგრაფია, არქეოლოგია, ბიოგრაფია შესანიშნავი კაცებისა, საერო მეურნეობა, მართლ-მსაჯულება, შესანიშნავი სამსჯავრო პროცესები

III სასოფლო მეურნეობა: სასოფლო მეურნეობისა და მრეწველობის შესახებ სტატიები და კორესპონდენციები.

IV კრატავა და ბაბლიკანაჟია ქართულის, რუსულისა და უცხოეთის სალიტერატურო და სამეცნიერო თხზულებათა შესახებ.

V ქრონიკა: ახალი ამბები შინაურის და უცხო ქვეყნების ცხოვრებიდან.

VI სწავლა.

VII განცხადება.

შანი ქურნალინა გაზაზნენით:

ერთის წლით—10 მან., ექვსის თვით—6 მანეთი, სამის თვით 4 მანეთი.

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ:

აკაკი, ნ. ავალიშვილი, არავეისპირელი, (ფსევდონიმი), ი. ბაქრაძე, კოტე ბაქრაძე, ბაჩანა (ფსევდონიმი) ეკ. ვაბაშვილისა, ი. გოგებაშვილი, დანიავო (ფსევდონიმი), დუტუ მგერელი (ფსევდონიმი), დიმიტრი ერისთავი, იაჟა-ფშაველა (ფსევდონიმი), გრ. გოლსკი, თავისუფალი სენი (ფსევდონიმი), ექ. თაყაიშვილი, გ. იოსელიანი, დ. კარიჭაშვილი, კირ. ლორთქიფანიძე, გ. მაიაშვილი (ფსევდონიმი), პროფესორი ნ. მარტი, სოფრომ მგალობლიშვილი, მე-

ვლე (ფსევდონიმი), მელანია (ფსევდონიმი), პროფესორი პ. მელიქიშვილი, ი. მესხი, ნ. მივარდელი-შვილი, შიო შილიშვილი (ფსევდონიმი), ა. ნანჭიშვილი, ი. ნიკოლაიშვილი, ნიკო ნიკოლაძე, ე. ნინო-შვილი (ფსევდონიმი), მინო ოპრელიანისა, თ. რაზიკაშვილი, გ. საბაგლიშვილი, პ. უმიკაშვილი, ნ. ურბნელი (ფსევდონიმი), ილია ფერაძე, ა. ფრონელი (ფსევდონიმი), ან. ფურცელაძე, ს. ლოლობერიძე, მ. ყაფიანი, ს. ყიფიანი, გრ. ყიფშიძე, ი. ჩიქოვანი, ცახელი (ფსევდონიმი), ანასტასია წერეთლისა, გ. წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, ალ. ჭიჭინაძე, ალ. ხაბანაშვილი, მ. ხელთუფლიშვილი, ილია ხონელი (ფსევდონიმი), ნ. ხუდადოვი, ს. ხუნდაძე, ა. ჯაბაღარი, ი. ჯაბაღარი, მ. ჯანაშვილი და სხვანი.

ხელის მაწერა მიიღება თვით რედაქციაში, რომელსაც უნდა მიმართოს შემდგენის აღრესით:

Въ Тифлисъ. Въ редакцію грузинскаго журнала «МОАМБЭ».

ჟურნალში დასაბუჯდა წერალება და სტატიები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოაკზანოს. მიღებული ხელნაწერება, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შექოცებული და ან შესწორებული იქნება. ხელნაწერები, რომელნიც არ დაიქვლება, მარტანგება რედაქციაში უნდა მოკითხონ ერთის თოვის განმავლობაში; მეგრე კეკაღარ მოსთხოვენ რედაქციას. ანაკითარ მაწერ-მოწერას დაუბუჯდელ ხელნაწერების შესახებ რედაქცია ანა ჭკას-რულობს.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა უქმეებს გარდა, პირველ საათიდან სამ საათამდის ნაშუადღევს.

რედაქცია იმყოფება ლორის-მელიქიევის ქუჩაზედ, № 13. აღრესი ტელეგრაფებისათვის: Тифлисъ, редакція «МОАМБЭ».

რედაქტორი გამომცემელი
ალექსანდრე ჭყონია ნიკოლოზ ლილიყორიძე.

(3—2)

შინაარსი: ვისი ბრალია, რომ ჩვენი ხალხის უმეტესობა კიდევ ვერ გადაიქცა სხვა და სხვა ამაო და მანვე ჩვეულებათა აღსრულებას გარდაცვალებულგან მოხსენების საქმეში?—ქართლ-კახეთის მიუღი ეპარქიის სამღვდლოების დუქატების კრებისა გამო ქალაქ თბილისში.—მღვდლოცის ისტორიიდან.—პასუხად უსახელო წერილის ავტორს.—დრო გამოიცვალა.—ახალი ამბები და შინაშენები.—შობალების კეთილი ცნობრება საუფუფოს სამკვიდრებელთა შვილობილის.—განცხადება.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ლამბაშიძე. *Доз. цензурою. Кутаисъ, 29 Ноября 1893 г.*
Типография редакціи (И. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣш. въ д. бр. Ханаповыхъ на Нѣмецкой ул.